# სარჩევი

შესავალი.....3
ანალიზის ნაწილი.....3
დასკვნა.....5

# შესავალი

იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამება“ V საუკუნის ქართული მწერლობის გამორჩეული ძეგლია, რომელიც ლიტერატურულ ღირებულებასთან ერთად საისტორიო წყაროსაც წარმოადგენს (ჯანაშჩა, 1980, გვ. 44). ნაწარმოებში აღწერილი ტრაგედია სასანური ირანის პოლიტიკური და რელიგიური ექსპანსიის ფონზე ვითარდება, როდესაც ქართლის პიტიახში ვარსქენი, სპარსთა მეფისგან მეტი პატივის მოსაპოვებლად, ქრისტიანობას უარყოფს და მაზდეანობას იღებს (წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ n.d., გვ. 1). სწორედ ამ ღალატის წინააღმდეგ მიმართული შუშანიკის შეუპოვარი ბრძოლაა ნაწარმოების მთავარი ღერძი, რომელიც პირად დრამასთან ერთად პოლიტიკურ განზომილებასაც იძენს. ამიტომ შუშანიკის ისტორია არა იმდენად ფიზიკური ტანჯვის, რამდენადაც მორალური გამარჯვების ამბავია. მისი ურყევი პოზიცია და აქტიური წინააღმდეგობა, რომელიც ზოგჯერ მრისხანებაშიც კი ვლინდება, ცოდვისადმი დაუმორჩილებლობის გამოხატულებაა (ბეკარიშვილი, 2017, გვ. 56). ამგვარად, დედოფლის თავგანწირვა დამარცხება კი არ არის, არამედ სულიერი თავისუფლების ტრიუმფია, რაც ამ თხზულებას ქართული ლიტერატურის ერთ-ერთ მწვერვალად აქცევს (ჯანაშჩა, 1980, გვ. 13).

# ანალიზის ნაწილი

შუშანიკის ტრაგედია და მისი მორალური გამარჯვება ვარსქენის ღალატის ამბის გაგებისთანავე იწყება. დედოფლის ხასიათის სიმტკიცე პირველივე ეპიზოდში ვლინდება, როდესაც ის პიტიახშის გამოგზავნილ მსახურს წინასწარმეტყველური სიტყვებით პასუხობს: „უკუეთუ სულითა ცხოველ არს იგი, ცოცხალ-მცა ხართ იგი-ცა და შენ-ცა. უკუეთუ სულითა მომკუდარ ხართ, მოკითხვაჲ ეგე შენი შენდა-ვე მოიქეცინ“ (წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ n.d., გვ. 1). შუშანიკი ამ ღალატის თანამონაწილე ვერ გახდებოდა, ამიტომაც სასახლეს მყისიერად ტოვებს და ეკლესიის მახლობლად პატარა სახლში პოულობს თავშესაფარს, რითაც განდგომილი ქმრის სამყაროსთან კავშირს სრულად წყვეტს (წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ n.d., გვ. 2).

შუშანიკზე ზეწოლა მალევე იწყება, თუმცა მისი ნების გატეხვა შეუძლებელი აღმოჩნდა. ის გარემოება, რომ სასულიერო პირებიც კი შუშანიკის დაყოლიებას

ცდილობდნენ, იმაზე მიუთითებს, რომ ვარსქენის საქციელს, სავარაუდოდ, პოლიტიკური მიზეზების გამო გამართლება ეძებნებოდა (ჯანაშჩა, 1980, გვ. 169). მისი პრინციპულობა და თავგანწირვისთვის მზადყოფნა ყველაზე კარგად იაკობ ხუცესთან დიალოგში ჩანს, როდესაც ამბობს, რომ მისთვის ვარსქენის ხელით სიკვდილი სულის წარწყმედაზე ბევრად უკეთესია (წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ n.d., გვ. 3).

კონფლიქტის კულმინაცია სერობის ეპიზოდია, სადაც შუშანიკის ხასიათი სრული სიმძაფრით ვლინდება. ის, ვინც მრავალი დღეა უზმოდაა, კვლავ უარს ამბობს საჭმელზე, ხოლო როდესაც ჯოჯიკის ცოლი ღვინით სავსე ჭიქას მიაწვდის და დალევას აიძულებს, შუშანიკი რისხვით პასუხობს: „ოდეს ყოფილ არს აქამომდე, თუმცა მამათა და დედათა ერთად ეჭამა პური?!“ და ჭიქას სახეში შეალეწავს (წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ n.d., გვ. 4). ეს ქმედება ზოგიერთმა მკვლევარმა გაუმართლებელ თავშეუკავებლობად და სიფიცხედ შეაფასა (ჯანაშჩა, 1980, გვ. 171). თუმცა, არსებობს სხვა მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც, მრისხანება ცოდვის წინააღმდეგ მიმართული გამართლებული საქციელია და წმინდანის სახეს ჩრდილს არ აყენებს (ბეკარიშვილი, 2017, გვ. 56-57).

ფიზიკური ტანჯვის მიუხედავად, შუშანიკი სულიერ სიმტკიცეს ბოლომდე ინარჩუნებს და სწორედ ამაშია მისი მთავარი გამარჯვება. ექვსწლიანი პატიმრობის განმავლობაში ის ცემას, ბორკილებს, დამცირებასა და საშინელ პირობებს ითმენს ბნელ საპყრობილეში (წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ n.d., გვ. 8-9). როდესაც იაკობი ცემისა და თრევის შემდეგ მის სისხლიან სხეულს ნახავს და ჭრილობების მობანას შესთავაზებს, შუშანიკი უარს ეუბნება: „ხუცეს, მაგას ნუ იტყვ, რამეთუ სისხლი ესე განმწმედელი არს ცოდვათა ჩემთაჲ“ (წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ n.d., გვ. 5). მისი საპყრობილე სასოწარკვეთის ადგილის ნაცვლად სულიერი ძალის ცენტრად იქცევა, საიდანაც სასწაულებს ახდენს - კურნავს სნეულებს და შვილს აძლევს უშვილოს, რაც ამტკიცებს, რომ ფიზიკური მონობა მის სულიერ თავისუფლებას ვერ ზღუდავს (წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ n.d., გვ. 7).

# დასკვნა

იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამების“ ანალიზით ირკვევა, რომ დედოფლის ტრაგედია სინამდვილეში მისი მორალური გამარჯვების ისტორიაა. ეს იყო

პიროვნულ და რელიგიურ დრამასთან ერთად შეგნებული პოლიტიკური და სულიერი წინააღმდეგობა ვარსქენ პიტიახშის ღალატის მიმართ, რომელმაც რწმენა და სამშობლო პოლიტიკურ სარგებელზე გაცვალა. შუშანიკის ბრძოლა თავიდანვე აქტიური ხასიათისა იყო: მან დაუყოვნებლივ დატოვა სასახლე, კატეგორიული უარი თქვა კომპრომისზე და ღიად დაუპირისპირდა განდგომილებს, რითაც ცოდვასთან კავშირი სრულად გაწყვიტა.

აღსანიშნავია, რომ ვარსქენის ფიზიკური ძალადობა და მრავალწლიანი წამება უძლური აღმოჩნდა დედოფლის სულის გასატეხად. პირიქით, რაც უფრო მძიმდებოდა მისი ფიზიკური ტანჯვა, მით უფრო იზრდებოდა სულიერი ძალა, რაც საპყრობილეში აღსრულებული სასწაულებითაც დასტურდება. საბოლოოდ, მისი წამება ქართული კულტურისა და ცნობიერებისთვის ურყევი ნებისა და მორალური გამარჯვების სიმბოლოდ იქცა და არა უბრალოდ სისასტიკის მაგალითად.

# გამოყენებული ლიტერატურა

ბეკარიშვილი, ი. (2017). „შუშანიკის წამების“ ორი ადგილის გაგებისათვის. https://naec.ge/uploads/postData/Jurnal/N15/J-15-8.pdf (23.10.2026)

ჯანაშჩა, ნ. (1980). ისტორიის წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა. საბჭოთა საქართველო. https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/439897/1/Shushanikis_Wameba_1980_Nawili_I.pdf (23.10.2026)

წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ. (n.d.). http://www.nplg.gov.ge/ebooks/authors/iakob_curtaveli/Shushanikis%20Tsameba.pdf (23.10.2026)